საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

„01" 10 2013 წ.

ქ. მცხეთა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1344/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 23 სექტემბერს N 21343 განაცხადით შპს „ელიფ ტექსტილის" წარმომადგენელმა რომან კვიციანმა (მის: ლილოს ბაზრობა, სავაჭრო ცენტრი "GS", მაღაზია N1) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „BOXER P PAŞALAR" (რეგ. N 21346) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „BOXER P PAŞALAR" (რეგ. N 21346) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 06.04.2011 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 06.04.2021 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 25-ე და 35-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „BOXER P PAŞALAR" (რეგ. N 21346) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 25-ე კლასის რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 375), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 01.10.2013.

ასლი დედანთან სწორია
„01" 10 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „ელიფ ტექსტილის“ წარმომადგენელს რომან კვიციანს (მის: ლილოს გაზრობა, სავაჭრო ცენტრი "GS", მაღაზია N1)